პროგრამის აღწერილობა

პროგრამის დასახელება (ქართულად და ინგლისურად)	**სკოლისშემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა** **Educational programme of after-school training**
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები/ კოორდინატორები	პროგრამის ხელმძღვანელი: ინგა სანიკიძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი. ტელეფონის ნომერი — 577 795 795 ელ. ფოსტა — inga.sanikdze@tsu.ge პროგრამის კოორდინატორი: პროგრამის კოორდინატორი - ანა დოლიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორი (ქართული ლიტერატურის ისტორია) ტელეფონის ნომერი - 591991155 ელ.ფოსტა - ana.dolidze@tsu.ge
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	• პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეები და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 2013 მუხლით გათვალისწინებული პირები, რომლებიც ბოლო 2 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. • პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძველია ბენეფიციარის განცხადება,

	რომლის წარდგენა ხდება ელექტრონული ფორმით, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციაში და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში, შესაბამისი ოფიციალური ვებგვერდების გამოყენებით, ყოველი წლის 1 აგვისტოდან 5 სექტემბრის ჩათვლით. • პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება მიენიჭება მხოლოდ იმ პირს, რომელსაც, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 4 მარტის №43/ნ ბრძანებით „სკოლისშემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამის განხორციელებისა და ამ პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების, აგრეთვე შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული შეფასების საფუძველზე პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის ათვისების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილი წესის შესაბამისად წარდგენილი აქვს განცხადება ელექტრონულად და შესაბამისი სასწავლო წლისთვის არ აქვს მოპოვებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის უფლება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ან ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. ასევე, არ ფიქსირდება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში აქტიური ან სტატუსშეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტად ან კურსდამთავრებულად. • სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკოლისშემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამაზე ჩასარიცხად საჭიროა გააფორმოს ხელშეკრულება შესაბამისი სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	სკოლისშემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამის მიზანია, საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივის ფარგლებში, ხელი შეუწყოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მიერ ხარისხიანი უმაღლესი განათლების მიღების უფლების რეალიზაციას და მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობას ქართული ენის ცოდნის დონის გაუმჯობესებითა და „ეროვნული სასწავლო გეგმის“ შესაბამისად კომპეტენციების ამაღლებით დარგობრივ (არჩევით) საგნებში. პროგრამა განკუთვნილია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები იმ პირებისთვის, რომელთაც მიღებული აქვთ ოკუპირებულ ტერიტორიებზე სრული ზოგადი განათლება რუსულ ენაზე. პროგრამის ამოცანებია ჩარიცხულ ბენეფიციარს გააცნოს და შეასწავლოს: • ქართული, როგორც სახელმწიფო ენა, რათა პროგრამის კურსდამთავრებულმა უმაღლესი საბაკალავრო განათლების

	ფარგლებში შეძლოს ფაქტების, ცნებების, განმარტებების, შინაარსების შესწავლა-გაცნობიერება. სწავლების პროცესში ბენეფიციარმა უნდა აღიქვას ახალი ინფორმაცია და დაიმახსოვროს ის. ამასთან, გაიხსენოს, დაალაგოს, აღწეროს, განსაზღვროს, შეარჩიოს და დააკავშიროს შესწავლილი და გაცნობიერებული მასალები ერთმანეთთან. • ენობრივი კომპეტენციის ამაღლების პარალელურად გაიაზროს და გადმოსცეს აზრი როგორც ზეპირად, ისე – წერილობით; იმსჯელოს სასწავლო თუ მისთვის საინტერესო თემებზე, არგუმენტირებითა და მაგალითების მოხმობით ჩამოაყალიბოს აზრი და შეაჯამოს საკუთარი მსჯელობა. • ზემოთ ჩამოთვლილი კონცეპტუალური უნარ-ჩვევებისა და „ეროვნული სასწავლო გეგმის“ მიხედვით, შეიძინოს დარგობრივი ცოდნა და გააცნობიეროს შესწავლილი მასალა შემდეგ **სავალდებულო საგანში**: ქართული ენა და ლიტერატურა **არჩევით საგნებში:** 1. მათემატიკა; 2. ქიმია; 3. ფიზიკა; 4. ბიოლოგია; 5. გეოგრაფია; 6. ისტორია; 7. სამოქალაქო განათლება; 8. აფხაზური ენა და ლიტერატურა; 9. უცხოური ენა. • პროგრამით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების საფეხურზე უნდა კონსტრუირდეს მყარი, დინამიკური და ფუნქციებად გადანაწილებული ცოდნა. • ბენეფიციარს უნდა განუვითარდეს დამოუკიდებელი სწავლის უნარები და შრომისუნარიანობა, რათა სწავლა გააგრძელოს განათლების შემდგომ საფეხურზე. • გაიაზროს ინფორმაცია საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩამოაყალიბოს იდეები, აზრები თუ შეხედულებები. • პროგრამის დასრულების შემდეგ ბენეფიციარმა უნდა შეძლოს საკუთარი ცოდნის ტრანსფერი და რეალურ, ცოცხალ სიტუაციებში ქართულ ენაზე კომუნიკაცია.

სწავლის შედეგები	პროგრამის გავლის შემდგომ ბენეფიციარი: 1. შეიძენს ქართული ენის საბაზისო ცოდნას, რომელსაც დაეუფლება საერთაშორისო სტანდარტით გათვალისწინებული ენის ოთხკომპონენტიანი (კითხვა, წერა, ლაპარაკი, მოსმენა) სწავლებისა და კომუნიკაციური გრამატიკის გააზრების ბაზაზე. 2. სავალდებულო საგანში და არჩეულ არაუმეტეს 3 დარგობრივ საგანში დაეუფლება ესგ-ის მიხედვით გათვალისწინებულ საბაზისო ცოდნას. 3. პროგრამით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების საფეხურზე ბენეფიციარს ექნება მყარი, დინამიკური და ფუნქციებად გადანაწილებული ცოდნა. 4. განვითარებული ექნება საკუთარი ცოდნისა და უნარების ადეკვატური შეფასებისა და დამოუკიდებელი სწავლის უნარები. 5. საბოლოო გამოცდის ჩაბარების შემდგომ შეძლებს საკუთარი ცოდნის ტრანსფერს, ანუ სწავლის გაგრძელებას საბაკალავრო საფეხურზე. 6. მისთვის ხელმისაწვდომი იქნება შემდგომი საფეხურის ხარისხიანი უმაღლესი განათლება.
ცოდნა და გაცნობიერება	ბენეფიციარი პროგრამით გათვალისწინებულ თითოეულ საგანში: • აღწერს და განსაზღვრავს ცნებებს, გაიაზრებს ამოცანებსა და პრობლემებს; • თანამიმდევრულად გადმოსცემს თეორიულ და პრაქტიკულ მასალებს; აყალიბებს იდეებსა და აზრებს; • მიმოიხილავს შესწავლილ საკითხებს ამომწურავად და მსჯელობს არგუმენტირებულად, მაგალითების მოხმობის საშუალებით წარადგენს გაცნობიერებულ მასალას აუდიტორიის წინაშე.
უნარები	• ***დავალების შესრულებისა და პრობლემის გადაჭრის უნარები*** — ბენეფიციარი იყენებს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებულ თეორიულ და პრაქტიკულ მასალას; დავალების შესრულებისას ორგანიზებას უწევს ცოდნასა და გაცნობიერებულ საკითხებს; ასაბუთებს საკუთარ იდეას, შეხედულებას; პრაქტიკულად იყენებს მიღებულ ცოდნას; • **კომუნიკაციის უნარი** — პროგრამით გათვალისწინებული საგანთა სწავლა-სწავლის პროცესი ბენეფიციარს უუმჯობესებს კომუნიკაციურ უნარს. კერძოდ, ცოცხალი აუდიტორული პროცესი უადვილებს მას, გამოთქვას საკუთარი აზრი. ამასთან, მოისმინოს განსხვავებული აზრი, იყოს ტოლერანტული სხვათა შეხედულებების მიმართ; შეძლოს დისკუსიაში თანამონაწილეობა. • **სწავლის უნარი** — საგნების შესწავლისას აუდიტორიული [/საგაკვეთილო] პროცესის გარდა, ბენეფიციარი მუშაობს დამოუკიდებლად; გამოიმუშავებს საკითხებისადმი სისტემური მიდგომის უნარ-ჩვევას და ამგვარი ფორმით ძლევს შესასწავლ მასალას. • **კრიტიკული აზროვნების უნარი** — ბენეფიციარი მსჯელობს კრიტიკულად; აანალიზებს პრობლემას და მიღებულ ცოდნას გაიაზრებს

	მთლიანობაში. • **დასკვნის უნარი** — ბენეფიციარი ასაბუთებს კონკრეტულ საკითხებს, პრობლემებს, აცნობიერებს მათ და ასე აჯამებს მსჯელობას; აყალიბებს დასკვნას.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	• სწავლა-სწავლების პროცესში ბენეფიციარი ახდენს საკუთარი ცოდნის მეტაკოგნიციასა და დამოუკიდებლად გეგმავს პროფესიული და პიროვნული განვითარების აქტივობებს. • მართებულად არჩევს საილუსტრაციო მაგალითებს, რომლებიც აზრის გამოთქმის დროს უნდა გამოიყენოს; აზროვნებს ლოგიკურად, კრიტიკულად და ანალიტიკურად; აყალიბებს შეკითხვებს, მათზე პასუხები კი ცოდნის გაღრმავებაში ეხმარება. დაგროვილი გონებრივი კაპიტალი საშუალებას აძლევს მას, გააგრძელოს სწავლა განათლების მომდევნო (საბაკალავრო) საფეხურზე. • სწავლა-სწავლების პროცესში ბენეფიციარი იუმჯობესებს ეთიკური ნორმების დაცვის უნარს; არ ითვისებს სხვათა აზრებს; აღიჭურვება ცოდნითა და მაღალი პასუხისმგებლობით. შეუძლია იმუშაოს დამოუკიდებლად და განავითაროს საკუთარი ცოდნა დამხმარე საშუალებებით (მაგალითად, ალტერნატიული სახელმძღვანელოებით, პრაქტიკით, იტერნეტრესურსებითა და სხვ.). • სწავლა-სწავლებისას წარმართული დისკუსიები ბენეფიციარს ასწავლის ეთიკური ნორმების დაცვას; ჩამოუყალიბებს ტოლერანტულ და დემოკრატიულ მიდგომებს; გააცნობიერებინებს საკუთარ და გუნდურ პასუხისმგებლობას.
სწავლების მეთოდები	ქართული ენის სწავლა-სწავლების პროცესი ეფუძნება იმ მეთოდებს, გამოცდილებასა და დისკრიპტორებს, რომლებსაც ითვალისწინებს საერთო ევროპული ჩარჩო დოკუმენტი (CEFR)[1]. მათი გათვალისწინება მნიშვნელოვნად აფართოებს ენობრივი განათლების სფეროს, ხელს უწყობს შემსწავლელთა აკადემიურ თუ სოციალურ განვითარებას და გენდერულად ნეიტრალურია. ასევე, არჩეულ საგანთა სწავლა-სწავლების პროცესი (ქართული ენის სწავლების სპეციფიკასთან ერთად) ეყრდნობა შემდეგ მეთოდებს: • **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი, მეთოდი** — პრაქტიკული მეცადინეობა, კონსულტაცია. ვერბალური მეთოდი ეფუძნება კრიტიკულ და ანალიზურ დისკურსებს, დაშვებებს, ვარაუდებსა და მათ განხილვებს ბენეფიციარების აქტიური ჩართულობით. • **პრაქტიკული მეთოდი** — მეთოდური მიდგომები პრაქტიკული მასალის დამუშავებისას პრობლემათა სინთეზში წარმოდგენის გზით; მასალის შეკრება-გაანალიზება და სისტემური ხედვის ჩამოყალიბება პრაქტიკულ მასალაზე მუშაობის პროცესში. • **დისკუსია** — ეთიკურ ნორმათა გათვალისწინება და

[1] https://www.coe.int/en/web/common-european-framework-reference-languages

	პასუხისმგებლობის უნარის გამომჟღავნება და დახვეწა საგაკვეთილო პროცესში წამოჭრილი პრობლემებისა თუ სილაბუსით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დროს. • **ჯგუფური მუშაობა** — დისკუსიების დროს განსხვავებული აზრის ბენეფიციართა დაჯგუფება; მათი არგუმენტებისა თუ კონტრარგუმენტების მოსმენა; სხვისი აზრის პატივისცემა და შემწყნარებლობა. • **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი** — ბენეფიციარის მიერ დასმულ შეკითხვაზე რეაგირება; შეხედულებათა განხილვა და შეჯამება.
ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლა-სწავლების მიდგომები და მექანიზმები	ქართული ენისა და ლიტერატურის ინტენსიური სწავლება განხორციელდება შემდეგი მიდგომებითა და მექანიზმებით: 1. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარები გაივლიან ინტენსიური მომზადების სასწავლო კურსს. პროგრამა განხორციელდება 1 სასწავლო წლის განმავლობაში (30 სასწავლო კვირის მანძილზე). ერთწლიანი სწავლების პირველი 3 თვე (12 სასწავლო კვირა + 1 კვირა შუალედური გამოცდებისათვის) სრულად დაეთმობა ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლებას, გაუმჯობესებასა და მიღებული ცოდნის გაცნობიერებას. 2. საერთაშორისო სტანდარტის გათვალისწინებით, სახელმწიფო ენის სწავლება დაიშლება 4 კომპონენტად: ➢ ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტი – კითხვა [ამოცანა – ტექსტი, ტექსტის გააზრება, ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის გააქტიურება, მათი შესწავლა-გაცნობიერება და პრაქტიკული გამოყენება] – 2 აკადემიური საათი; ➢ ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტი – ლაპარაკი [ამოცანა – სასაუბრო თუ აკადემიური ენის შესწავლა-გაცნობიერება, ზეპირმეტყველებითი უნარების ჩამოყალიბება] – 2 აკადემიური საათი; ➢ ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტი – მოსმენა [ამოცანა – მოსმენილი მასალის გააზრება, მსჯელობა] – 2 აკადემიური საათი; ➢ ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტი – წერა [ამოცანა – ნასწავლი და გაცნობიერებული მასალის წერილობით ფორმაში ჩამოყალიბების უნარების ათვისება-გაუმჯობესება] – 2 აკადემიური საათი. 3. დარჩენილი 17 სასწავლო კვირის განმავლობაში ძირითად საგანს, ქართული ენა და ლიტერატურა, პროგრამაზე ჩარიცხული ბენეფიციარები სწავლობენ შეფასებისა და ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული პროგრამის მიხედვით. 17 სასწავლო კვირის განმავლობაში ძირითად საგანს ეთმობა კვირაში 6 სთ. (ქართულ ლიტერატურაში კვირაში 2 გაკვეთილი 2-2 საათი; ხოლო ქართულ ენაში – 2 სთ., ჯამურად – 6 სთ.).

არჩეული დარგობრივი საგნის / საგნების სწავლა-სწავლების მიდგომები და მექანიზმები	არჩეული დარგობრივი საგნის / საგნების სწავლება განხორციელდება შემდეგი სწავლა-სწავლების მიდგომებითა და მექანიზმებით: ➢ ერთწლიანი სწავლების მომდევნო პერიოდი (სავალდებულო საგნის – ქართული ენისა და ლიტერატურის – სწავლებასთან ერთად) ეთმობა საგნობრივ სწავლებას ბენეფიციარის მიერ არჩეულ საგნებში. არჩეული დარგობრივი საგნების სწავლა-სწავლების ხანგრძლივობა განისაზღვრება 17 სასწავლო კვირით. ➢ სწავლა-სწავლების პროცესი ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმასა და შეფასებისა და ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ დადგენილ პროგრამებს შესაბამის საგნებში. ➢ 17 სასწავლო კვირის განმავლობაში ბენეფიციარის მიერ არჩეულ საგანს / საგნებს (რომელთა რაოდენობა არ აღემატება 3-ს) ეთმობა კვირაში 2 გაკვეთილი 2-2 აკადემიური საათის ოდენობით. ამრიგად, კვირაში 4-საათიანი ბადე გათვალისწინებულია ბენეფიციარის მიერ არჩეული თითოეული საგნისათვის.
შეფასების წესი	პროგრამა მოიცავს, როგორც შუალედურ, ასევე დასკვნით შეფასებებს: შუალედური შეფასება შედგება, როგორც კონკრეტული სასწავლო ციკლის დასასრულს (პირველი სამი თვის შემდგომ), რათა განისაზღვროს სტუდენტთა მიერ პროგრამით გათვალისწინებული შედეგების დაუფლების თანმიმდევრულობა. საბოლოოდ, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ათვისება დასტურდება ტესტირების საშუალებით. ტესტირება ტარდება სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით.
დასაქმების სფეროები	წინამდებარე პროგრამა ითვალისწინებს ბენეფიციართა მომზადებას განათლების მომდევნო (საბაკალავრო) საფეხურისათვის.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	**პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი:** პროგრამა მოქმედებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის ბაზაზე. საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობს თსუ I (ი. ჭავჭავაძის გამზ. N 1) კორპუსში. პროგრამით გათვალისწინებულ სწავლა-სწავლების პროცესს, მათი მიზნებისა და ამოცანების შესრულებას ემსახურება თსუ-ის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, კერძოდ: • თსუ ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი - www.tsu.ge/ge/government/administration/departments/library/e_catalo

	g/ • თსუ ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა – უნივერსიტეტის ქ. N11. • თსუ შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი – ი. ჭავჭავაძის გამზირი N1. • თსუ კომპიუტერული რესურს-ცენტრები. • პროგრამაზე მიმდინარე სწავლა-სწავლების პროცესში ბენეფიციარებს უწყვეტად მიეწოდებათ ინტერნეტი. **პროგრამის ადამიანური რესურსი:** პროგრამას ხელმძღვანელობს პროფესორი ინგა სანიკიძე. ამასთან, მის მუშაობაში ჩართულნი არიან ქართული ენისა და დარგობრივი საგნების პრაქტიკოსი პედაგოგები [იხ. დანართი].
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	• სასწავლო ჯგუფებში ბენეფიციართა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 10-ით. • ბენეფიციარის მიერ არჩეულ საგნობრივ ჯგუფში ჩარიცხვას არ აქვს წინაპირობა. • პროგრამის დამთავრების შემდეგ ბენეფიციარი პირადი განცხადების საფუძველზე ასახელებს იმ სასურველ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას, რომელზეც სურს სწავლის გაგრძელება. • პროგრამის განხორციელებაში ჩართული პედაგოგების კვალიფიკაცია მოწმდება მათი გამოცდილების, ზეპირი გასაუბრებისა და პერსონალური მონაცემების [ე.წ. CV-ის] საფუძველზე.